



**"ენერგოეფექტურობის
ცენტრის"
ყრველკვირეული
საინფორმაციო
ბიულეტენი**

N 06, 2024

სარჩევი

ნავთობი და გაზი	2
ბაზარზე რუსული საწვავი ევროპულზე მაღალი ფასნამატი იყიდებოდა - კონკურენციის სააგენტო.....	2
Chesapeake Energy-ის აღმასრულებელი დირექტორი: ბაიდენის მიერ LNG-ს აკრძალვა დააზარალებს მომხმარებლებს, გარემოს და აშშ-ს მოკავშირეებს	3
ელექტროენერგეტიკა.....	3
რატომ დაიკლო საქართველოში ელექტროენერჯის მოხმარებამ	3
აშშ-ში ამოქმედდა მზის ენერჯის წარმოებისა და შენახვის მსოფლიოში ყველაზე დიდი პროექტი: ენერჯის შენახვის სისტემის სიმძლავრეა 3287 მგვტ.სთ.....	3
განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა.....	4
„საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ენერგეტიკული გაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის კუთხით“- სალომე ჯანელიძე	4
ლუქსემბურგი დასახელდა ევროპის 2023 წლის ენერგოეფექტურობის ჩემპიონად: eceee და ODYSSEE-MURE European Energy Efficiency Scoreboard.....	5
კლიმატის ცვლილება.....	6
EU-მ გააუქმა გარემოსდაცვითი რეგულაციების ნაწილი, რომლებმაც ფერმერთა პროტესტები გამოიწვია.....	6
ევროკავშირი ისახავს 2040 წლისთვის ემისიების შემცირების ისტორიულ მიზანს, მაგრამ ტრანსპორტის სექტორი მას რისკის ქვეშ აყენებს	6
ღონისძიებები	7

ნავთობი და გაზი

ბაზარზე რუსული საწვავი ევროპულზე მაღალი ფასნამატი იყიდებოდა - კონკურენციის სააგენტო

კონკურენციის სააგენტო საწვავის ბაზრის მონიტორინგის შუალედურ შედეგებს აქვეყნებს.

ანგარიშის თანახმად, გასულ წელს ქვეყანაში 1,541,612 ლიტრი ბენზინი და დიზელი შემოვიდა საქართველოში. ანგარიშის მიხედვით, ბაზარზე იმპორტის დონეზე დომინანტი ეკონომიკური აგენტი არ ფიქსირდება.

გასულ წელს ქვეყანაში საწვავი 54 ეკონომიკურ აგენტს შემოჰქონდა. შესაბამისად, იმპორტიორების რაოდენობა უფრო დიდია, ვიდრე ქვეყანაში ძირითადი ბრენდული სადგურების რაოდენობა და ისინი საწვავს სხვადასხვა მომწოდებლებისგან ყიდულობენ.

ანგარიშის მიხედვით, გასულ წელს ქვეყანაში ყველაზე მეტი საწვავი რუსეთის ფედერაციიდან შემოვიდა, რაც მთლიანი მოცულობის 62.5%-ს შეადგენდა. რუსეთს მოჰყვება რუმინეთი 15.3% და ბულგარეთი 9.4%. სააგენტოს შეფასებით, ბაზრის იმპორტის დონე ზომიერად კონცენტრირებული იყო რუსულ ბაზარზე.

"საწვავის საცალო ბაზარზე, 2023 წლის პირველი ნახევარი ფასების შემცირების ტრენდით ხასიათდებოდა, ხოლო მეორე ნახევარი ფასების ზრდის - მსგავსად საქართველოსთვის საწვავის მომწოდებელ ძირითად ევროპულ ქვეყნებში (რუმინეთი, ბულგარეთი). კერძოდ, წლის პირველ ნახევარში - რეგულარის მარკის საწვავის შემთხვევაში ფასი 1 ლიტრზე 50-70 თეთრით შემცირდა, პრემიუმის შემთხვევაში 50-60 თეთრით, ხოლო დიზელის შემთხვევაში აგვისტოსთვის ჩათვლით ფასი შემცირდა 75-90 თეთრით. 2023 წლის მეორე ნახევარში - მაქსიმალური ფასი საქართველოში ოქტომბრის თვეში დაფიქსირდა, ხოლო რუმინეთსა და ბულგარეთში სექტემბრის თვეში. მაქსიმალური ნიშნულის შემდეგ, საქართველოში ფასი შემცირდა საშუალოდ 1 ლიტრზე 15 თეთრით, ხოლო რუმინეთსა და ბულგარეთში 30 თეთრით.

2023 წლის მეორე ნახევარში, საცალო ფასების ზრდასთან ერთად, მსხვილი კომპანიების და მცირე ქსელების საცალო ფასებს შორის სხვაობა გაიზარდა. მაგ. რეგულარის მარკის საწვავზე, მსხვილ კომპანიებს და მცირე ქსელებს შორის სხვაობა, 2023 წლის ნოემბრის თვემდე, 10-20 თეთრს შეადგენდა, ხოლო 2023 წლის ნოემბრის თვიდან 30-35 თეთრს," - ნათქვამია სააგენტოს მიმოხილვაში.

კონკურენციის სააგენტომ შეისწავლა ბაზარზე რეალიზებული საწვავის ღირებულება მისი შემადგენელი კომპონენტების მიხედვით, საიდანაც დგინდება, რომ ნავთობკომპანიები რუსულ საწვავს საშუალოდ უფრო მაღალი ფასნამატი იყიდდნენ, ვიდრე ევროპულ საწვავს, ამის მიზეზი კი რუსული საწვავის შესყიდვის (თვითღირებულების) შედარებით დაბალი ფასი იყო.

მაგალითად, თუკი ევროპიდან იმპორტირებული საწვავის თვითღირებულება 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით ლიტრზე 1.61 ლარი იყო, რუსულის შემთხვევაში ეს 1.39 ლარს შეადგენდა, შესაბამისად, ოპერატორებს რუსული საწვავის რეალიზაციით უკეთესი მოგების გენერირება შეეძლოთ. სწორედ ამიტომ 2023 წლის დეკემბერში რუსული წარმოების რეგულარის ბენზინზე ფასნამატი ლიტრზე 75 თეთრს შეადგენდა, მაშინ როდესაც ევროპულზე ეს 52 თეთრი იყო...

წყარო: bfm.ge - <https://cutt.ly/0wC3yJrV>

Chesapeake Energy-ის აღმასრულებელი დირექტორი: ზაიდენის მიერ LNG-ს აკრძალვა დააზარალებს მომხმარებლებს, გარემოს და აშშ-ს მოკავშირეებს

ზაიდენის ადმინისტრაციის პაუზა გათხევადებული ბუნებრივი გაზის (LNG) ექსპორტის ახალ ლიცენზიებზე ზიანს აყენებს მომხმარებლებს, გარემოს და აშშ-ს მოკავშირეებს, განაცხადა ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი გაზის მწარმოებლის ხელმძღვანელმა.

„ეს ეწინააღმდეგება მთელ რიგ საკითხებს, რისი მიღწევაც ადმინისტრაციის თქმით, მათ სურთ“, - თქვა Chesapeake Energy Corp.-ის აღმასრულებელმა დირექტორმა ნიკ დელ'ოსომ ინტერვიუში 2024 წლის NAPE სამიტზე ჰიუსტონში. ”მაგრამ პოლიტიკა გამოწვევაა და ადამიანებს აქვთ თავიანთი შეხედულებები.”

LNG-ის მომხრეები თვლიან, რომ აღნიშნული რესურსი არის ენერგეტიკული გადასვლის გასაღები, განსაკუთრებით იმაში, რომ ეხმარება ქვეყნებს ნახშირზე დამოკიდებულების შემცირებაში, ხოლო კრიტიკოსები მიუთითებენ საწვავის წარმოებისა და ექსპორტის მიერ გარემოსთვის მიყენებულ ზიანს.

წყარო: worldoil.com - <https://cutt.ly/MwC9XcZt>

ელექტროენერგეტიკა

რატომ დაიკლო საქართველოში ელექტროენერჯის მოხმარებამ

2023 წლის პირველ ნახევარში ელექტროენერჯის ადგილობრივი მოხმარება წლიურად 7.9%-ით შემცირდა. ამის შესახებ „გალთ ენდ თაგარტის“ კვლევაშია აღნიშნული.

კვლევის ავტორთა შეფასებით, ეს კლება განპირობებული იყო აფხაზეთის რეგიონის (-10.8% წ/წ) და პირდაპირი მომხმარებლების (-25.4% წ/წ) მოხმარების მნიშვნელოვანი ვარდნით.

„პირდაპირ მომხმარებლებში მოხმარების კლება უკავშირდება ჯორჯიან მანგანეზის, მეტალურგიული და მაინინგ კომპანიების წარმოების კლებას, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებული იყო მათ საბოლოო პროდუქტებზე მოთხოვნისა და ფასების ვარდნასთან.

მათი მოხმარების კლება დაიწყო 2022 წლის მეორე ნახევარში და სავარაუდოდ, 2024 წლის პირველ ნახევარშიც გაგრძელდება,“ - აღნიშნულია კვლევაში.

წყარო: bpn.ge - <https://cutt.ly/SwC9XRHG>

აშშ-ში ამოქმედდა მზის ენერჯის წარმოებისა და შენახვის მსოფლიოში

ყველაზე დიდი პროექტი: ენერჯის შენახვის სისტემის სიმძლავრეა 3287 მგვტ.სთ

Edwards & Sanborn-ის მზის ენერჯის გამომუშავებისა და შენახვის პროექტი კალიფორნიაში ახლა სრულად ფუნქციონირებს, 875 მეგავატი მზის ფოტოელექტრული და 3,287 მგვტ.სთ ენერჯის შენახვის სისტემის (BESS) სიმძლავრით, ყველაზე დიდია მსოფლიოში.

Edwards & Sanborn სისტემა მოიცავს 1.8 კვადრატულ კილომეტრს, მდებარეობს კერნის ოლქში. მასში შედის 1,9 მილიონი ფოტოელექტრული მოდული First Solar-ისგან და BESS ენერჯის შესანახი სისტემა LG Chem-ის, Samsung-ისა და BYD-ისგან, საერთო სიმძლავრით

3287 მეგავატი. Edwards & Sanborn-ის ახალმა ბატარეამ აჯობა 750 MW/3000 მგვტ.სთ BESS დანადგარს Moss Landing-ში, კალიფორნია.

კონტრაქტორმა კომპანიამ Mortenson-მა პროექტზე მუშაობა დაახლოებით სამი წლის წინ დაიწყო და პირველი ეტაპი, რომელიც მთლიანი სიმძლავრის დაახლოებით ნახევარს მოიცავს, ექსპლუატაციაში შევიდა 2021 წლის ბოლოს.

მზის ენერჯის სისტემის სიმძლავრე 1300 მეგავატია. ის ამარაგებს ქალაქ სან-ხოსეს, კომუნალურ საწარმოებს Southern California Edison-ს და წ Pacific Gas & Electric-ს, Clean Power Alliance-ს და Starbucks-ის კაფეების ქსელს.

კალიფორნიის BESS პროექტების უმეტესობა გათვლილია 4 საათის პერიოდზე, რაც აკმაყოფილებს CAISO-ს ქსელის ოპერატორის რესურსების საკმარისობის კრიტერიუმებს. ეს სისტემა, საჭიროების შემთხვევაში, უფრო დიდხანს იმუშავებს, მაგრამ ზუსტად რამდენი ხანს, არ არის მითითებული.

წყარო: building-tech.org - <https://cutt.ly/YwC9XGwK>

განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა

„საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ენერგეტიკული გაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის კუთხით“- სალომე ჯანელიძე

საქართველო 2017 წლიდან energy community-ის წევრია. აღნიშნული წევრობისა და შემდგომში თანამშრომლობის ძირითადი მიზანია, ენერგეტიკულ სექტორში საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია. ასევე ქვეყანაში ენერგოეფექტურობის ზრდა და ენერგეტიკული ბაზრის გახსნა, რაც საბოლოო ჯამში კონკურენციას სექტორში კიდევ უფრო ავითარებს. Energynews-ის დაინტერესდა იმით თუ რა პროგრესი აქვს ქვეყანას უკანასკნელი წლების განმავლობაში ენერგეტიკულ გაერთიანებაში წევრობის ფონზე. როგორც საქართველოში ენერგეტიკული გაერთიანების (Energy Community) წარმომადგენლობის ხელმძღვანელი სალომე ჯანელიძე აცხადებს, 2017 წლიდან დღემდე საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ენერგეტიკული გაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიმართულებით. მისივე თქმით, გარკვეული გამოწვევები კვლავ არსებობს, რომელთა დაძლევის შესაძლებლობაც საქართველოს გააჩნია.

პირველ რიგში თქვენი შეფასებაა საინტერესო Energy community-ის წევრობასთან დაკავშირებით. რა სარგებელსა და შესაძლებლობას აძლევს საქართველოს აღნიშნულ ორგანიზაციაში წევრობა?

„ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე, საქართველოს ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანება გარდამტეხი მომენტი იყო. ორგანიზაციის წევრობა საშუალებას გვაძლევს, ენერგეტიკის მარეგულირებელი ჩარჩო შესაბამისობაში მოვიყვანოთ ევროპულ პრინციპებთან და გავატაროთ მასშტაბური რეფორმები ენერგეტიკის სექტორში, რომლებიც გაზრდის სექტორის ეფექტიანობას, გააუმჯობესებს მარეგულირებელ სტანდარტებს და ევროპულ ენერგეტიკულ სისტემასთან უშუალო დაკავშირების შემთხვევაში, დაგვეხმარება ერთიან ენერგეტიკულ ბაზართან ჰარმონიზაციაში.“

ენერგეტიკული გაერთიანების წევრობა ასევე გვამღევს შესაძლებლობას, ვისარგებლოთ სხვადასხვა სახის ტექნიკური დახმარებით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია რეფორმების განხორციელების პროცესში.

ევროპულ ენერგეტიკულ პრინციპების გადმოტანა ხაზს უსვამს საქართველოს სურვილს, ენერგეტიკული სექტორი იყოს გამჭვირვალე, კონკურენტული და სტაბილური, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ინვესტორებისა და საერთაშორისო პარტნიორების ნდობას სექტორისადმი. ევროპული საბჭოს გადაწყვეტილება საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე სწორედ ქვეყნის მიერ მიღწეული პროგრესისა და პოტენციალის მაჩვენებელია“...

2024 წელი ENERGY COMMUNITY-ის რომელი მოთხოვნების შესრულებას დაეთმობა ძირითადად?

„მოსალოდნელია, რომ 2024 წელი, ენერგეტიკის სექტორში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზაზე, ტრანსფორმაციული იქნება საქართველოსთვის. ყურადღება გამახვილდება ელექტროენერჯის ორგანიზებული ბაზრების გახსნასა და ბუნებრივი გაზის ბირჟის ამოქმედებაზე. გარდა ამისა, 2024 წელს ველოდებით როგორც ელექტროენერჯის, ისე ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემების ოპერატორების განცალკევებასა და სერტიფიცირებას.

საკანონმდებლო მიმართულებით, მოსალოდნელია, რომ საქართველო ახლო პერიოდში მიიღებს საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებიც უზრუნველყოფს ელექტროენერჯის ბაზრების, ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის მარეგულირებელ ენერგეტიკული გაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა, რომელიც მოსალოდნელია 2024 წელს, ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული გეგმის დამტკიცებაა“. - აღნიშნა სალომე ჯანელიძემ.

წყარო: energynews.ge - <https://cutt.ly/iwC9X1Ez>

ლუქსემბურგი დასახელდა ევროპის 2023 წლის ენერგოეფექტურობის ჩემპიონად: eceee @ ODYSSEE-MURE European Energy Efficiency Scoreboard

2023 წლის შედეგებით ლუქსემბურგი გამოვიდა აბსოლუტურ გამარჯვებულად, რომელსაც საერთო რეიტინგში მოსდევნენ გერმანია, საფრანგეთი, ლატვია და დანია. შედეგების ტაბლოზე არ არის ქვეყანა, რომელიც საუკეთესოა ყველა სექტორში, ან რომელიმე სექტორის ყველა კომპონენტში. მაგალითად, მრეწველობის სექტორში აბსოლუტური გამარჯვებულია ესტონეთი, ბოლო ათწლეულის განმავლობაში მრეწველობაში ენერგოეფექტურობის ყველაზე ძლიერი ევოლუციის გამო.

„ეს არის მკაფიო გზავნილი ყველა ქვეყნისთვის, რომ გაუმჯობესების შესაძლებლობა პრაქტიკულად ყველა სექტორშია. აღსანიშნავია ისიც, რომ 2021 წლის გამარჯვებულები არ არიან ამ წლის გამარჯვებულებს შორის. არავის შეუძლია მოდუნდეს და დაეყრდნოს წარსულ შედეგებს“, ამბობს პროფესორი ვოლფგანგ ეიხჰამერი უტრეხტის უნივერსიტეტიდან, Fraunhofer ISI და IEECP-დან, რომელმაც წარმოადგინა eceee-ს და ODYSSEE-MURE-ს ქულების ტაბლო ლეონარდოს ენერგოეფექტურობის აკადემიაში.

წყარო: eceee.org - <https://cutt.ly/awC9Cwcj>

კლიმატის ცვლილება

EU-მ გააუქმა გარემოსდაცვითი რეგულაციების ნაწილი, რომლებმაც ფერმერთა პროტესტები გამოიწვია

ევროკავშირი უარს იტყვის გარემოსდაცვითი რეგულაციების ნაწილზე, რომელთა გამოც ბლოკის წევრ სხვადასხვა ქვეყანაში, ბოლო ხანია, ფერმერების აქტიური პროტესტები მიმდინარეობს.

Financial Times წერს, რომ ევროკომისიის პრეზიდენტმა, ურსულა ფონ დერ ლაიენმა განაცხადა, რომ უქმდება სოფლის მეურნეობაში პესტიციდების გამოყენების განახევრების გეგმა.

ევროპარლამენტში სიტყვით გამოსვლისას ფონ დერ ლაიენმა აღნიშნა, რომ ეს ინიციატივა, – ევროკავშირის მწვანე პოლიტიკის ნაწილი, – პოლარიზაციის წყარო აღმოჩნდა. მისივე თქმით, ფერმერთა პროტესტის ფონზე, რამდენიმე წევრმა სახელმწიფომ ეს ინიციატივა ისედაც დაბლოკა.

პესტიციდების გამოყენების შეზღუდვა, სხვა ზომებთან ერთად, ბუნებაზე მავნე ზეგავლენისა და ატმოსფეროში ნახშირბადის დიოქსიდის ემისიების შემცირებას ისახავს მიზნად. ფერმერების განცხადებით, მათთვის ეს რეგულაციები დამაზიანებელი იყო, ვინაიდან ზრდიდა პროდუქციის წარმოების ფასს.

გარდა პესტიციდების გამოყენების შეზღუდვის გაუქმებისა, ბრიუსელმა აგრეთვე უარი თქვა ცხოველთა კეთილდღეობაზე ახალი რეგულაციის მიღებაზე და ნებართვა მისცა ფერმერებს, დაამუშაონ მიწა, რომელიც, პირვანდელი გეგმით, ხელშეუხებელი უნდა დარჩენილიყო.

Financial Times-ის ცნობით, ფონ დერ ლაიენს ამ ზომების მიღებისკენ მოუწოდებდნენ მისი თანაგუნდელების ნაწილიც. გამოცემის თანახმად, ფონ დერ ლაიენისა და მისი „ევროპის სახალხო პარტიის“, – ევროპის უმსხვილესი პოლიტიკური ჯგუფის, – ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ფერმერები არიან. პარტიაში შიშობდნენ, რომ ევროპარლამენტის არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ფერმერები შეიძლება ულტრამემარჯვენე პარტიების მხარეს გადასულიყვნენ.

წყარო: <https://netgazeti.ge/news/708253/>

ევროკავშირი ისახავს 2040 წლისთვის ემისიების შემცირების ისტორიულ მიზანს, მაგრამ ტრანსპორტის სექტორი მას რისკის ქვეშ აყენებს

2040 წლისთვის ემისიების 90%-ით შემცირების ევროკავშირის გეგმა კლიმატისთვის ისტორიულ მომენტია. მაგრამ გამოქვეყნებულ განცხადებაში არ არის ნახსენები ეტაპობრივი უარი ნავთობსა და გაზზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს აუცილებელია მიზნის მისაღწევად. გასული წლის დეკემბერში, COP28-ის შეთანხმებამ აიღო ვალდებულება წიაღისეული საწვავზე უარის შესახებ. ევროკავშირმა არსებითი როლი ითამაშა ამ ფორმულირების მიღებაში და ნათლად განაცხადა, რომ ის გათავისუფლდებოდა წიაღისეული საწვავის გამოყენებისგან. მიუხედავად ამისა, კომისიის ახალ განცხადებაში ჯერ კიდევ ნავარაუდევია 46 მილიონი ტონა ნავთობის ეკვივალენტის ნავთობისა და გაზის შეუფერხებელი მოპოვება, რომელიც ძირითადად გამოყენებული იქნება შორ

მანძილზე ტრანსპორტირებისთვის 2050 წელს. ეს საკმარისი იქნება 900,000 ტრანსატლანტიკური ფრენის ენერჯით უზრუნველსაყოფად, რაც არასაჭირო 140 მილიონ ტონა CO₂-ს დაამატებს ატმოსფეროში.

„დღეს ევროკავშირმა აჩვენა მსოფლიოს, თუ როგორ შეიძლება რეალური კლიმატური ამბიცია ძლიერ ინდუსტრიულ პოლიტიკად იქცეს. დარგის მოთამაშეებს ქვეყნის შიგნით და ევროპის გარეთ შეუძლიათ მიმართონ ევროკავშირს მწვანე ტექნოლოგიების წარმოებისა და გაყიდვისთვის, რადგან მათ შეუძლიათ უზრუნველყონ მზარდი ბაზარი და პროგნოზირებადი მოთხოვნა. მაგრამ ეს ძირითადი მიზანი ვერ მიიღწევა, თუ მას თან არ სდევს წიაღისეულ საწვავზე ეტაპობრივი უარი და ახალი კანონები, მიმართული მსხვილი ნავთობკომპანიების საწინააღმდეგოდ. ევროპა თავგამოდებით შეეცდება მიაღწიოს 2040 წლის მიზანს, და კვლავ იყენებს წიაღისეულ საწვავს. მაგრამ თქვენ უბრალოდ ვერ შეცვლით ამ ცუდ ტენდენციას“, - განმარტავს სოფი დეფური, კომპანია T&E-ის კლიმატის სფეროს ხელმძღვანელი.

წყარო: eceee.org - <https://cutt.ly/0wC9Cdk2>

ღონისძიებები

კონფერენცია - [მდგრადი ენერჯეტიკის მსოფლიო დღეები 2024](#)

თარიღი: 05–08 მარტი, 2024

ორგანიზატორი: OÖ Energiesparverband

ადგილი: Stadthalle, ველსი, ავსტრია

თემატიკა: ენერჯეტიკული გადასვლა, კლიმატ-ნეიტრალობა, ენერგოეფექტურობა, განახლებადი ენერჯია, ბიოენერჯია, ენერჯეტიკული პოლიტიკა, მრეწველობა, ე-მობილობა, შენობები, დაფინანსება, ტექნოლოგიები

[GlobalMethaneForum 2024](#) - მეთანის მსოფლიო ფორუმი

თარიღი: 18-21 მარტი, 2024

ადგილი: ჟენევა, შვეიცარია

კონფერენცია - [CO₂-ის ჩაჭერა, შენახვა და ხელახალი გამოყენება 2024](#)

თარიღი: 15–16 მაისი, 2024

ორგანიზატორი: FORTES MediaGroup

ადგილი: კოპენჰაგენი, დანია